ერთიანი საქართველო ევროპისთვის



განხორციელების ვადა: 20.10.2023 - 20.07.2026

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 2 000 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 3 099 837

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Konrad Adenauer Stiftung e.V

პროექტის აღწერა:

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების ხელშეწყობას საზოგადოების ფართო ჩართულობითა და თანამშრომლობით; ქვეყანაში დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოების, ახალგაზრდების, მედიის, ბიზნესის, ახალგაზრდა ადვოკატების, და აქტივისტების სამართლებრივ მხარდაჭერასა და გაძლიერებას; სამეცნიერო კვლევებისა და საზოგადოებრივი დიალოგის ინიცირებას; საქართველოს საზოგადოებისა და საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირების ზრდას.

მოსალოდნელი შედეგები:

შედეგი 1: ფაქტებზე დაფუძნებული პოლიტიკის მხარდაჭერა სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე კერძო-საჯარო პარტნიორობის სამუშაო ჯგუფების მონაწილეობით.
შედეგი 2: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ბიზნესის სექტორის, კვლევითი ცენტრების და დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლები გაერთიანებულნი არიან ძლიერ ქსელში და აქტიურად მონაწილეობენ ევროპული ინტეგრაციის პროცესში;
შედეგი 3: საზოგადეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისა და უმცირესობების, მაქსიმალური ჩართულობა ევროპული ინტეგრაციის პროცესში.